

ლეოპარდი (ჯიქი): სახეობის მოკლე მიმოხილვა

განახლებული ამონარიდი „ლეოპარდის (*Panthera pardus*) კონსერვაციის
ეროვნული სამოქმედო გეგმიდან



1

რედაქტორები: ნ. ზაზანაშვილი, ი. შავგულიძე, ბ. ლორთქიფანიძე; WWF-ის კავკასიის
პროგრამის ოფისი

NACRES, 2010 წ.

¹ ფოტო გადაღებულია ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე, ნაკრესის მიერ. დეკემბერი, 2005 წელი.

1 გლობალური გავრცელება

ლეოპარდი (იგივე ჯიქი) *Panthera pardus* ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული დიდი კატისებრია. იგი უაღერსად ადაპტური და პლასტიური მტაცებელია და დღესაც ჯერ კიდევ შემორჩენილია ისეთ ადგილებში, სადაც ადამიანის ინტენსიური ზემოქმედების გამო, გაქრნენ სხვა მსხვილი მტაცებლები. ისტორიული არეალი მოიცავს, აფრიკას, წინა აზიას, კავკასიას, ინდოეთის სუბკონტინენტს, ინდოჩინეთასა შორეულ აღმოსავლეთს. ისტორიული არეალის ფარგლებში ბევრგან უკვე გადაშენებულად ითვლება ან უკიდურესად შემცირებულია.

2 სახეობის ბიოლოგია და ეკოლოგია

2.1 ჰაბიტატი და არეალი

ლეოპარდი გვხვდება სხვადასხვა ტიპის ჰაბიტატებსა და ლანდშაფტში სამხრეთ აფრიკის უდაბნოსა და ნახევრად უდაბნოებში, აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკის სავანაში, ჩრდილოეთ აფრიკისა და არაბეთის ნახევარკუნძულის არიდულ რეგიონებში სამხრეთ-დასავლეთ აზიის მთიან რეგიონებში, ინდოეთის სრულიად განსხვავებულ ლანდშაფტებში; დასავლეთ და ცენტრალური აფრიკის ასევე შრი ლანკისა და ინდო-ჩინეთის ტროპიკულ ტყეებში, და ასევე რუსეთის შორეული აღმოსავლეთში, სადაც დამახასიათებელია მკაცრი და თოვლიანი ზამთარი. მთა კენიაზე (აფრიკა) იგი ვერტიკალურად ვრცელდება ზღვ. დ. 4,600 მ.-დე, ხოლო ჰიმალაიზე 5,200 მ.-მდე.

იმ რეგიონებში, სადაც ასევე გვხვდებიან სხვა მსხვილი კონკურენტი მტაცებლები, ლეოპარდი უპირატესობას ანიჭებს ისეთ ადგილებს, სადაც ასევე მრავლადაა თავშესაფარი.

2.2 რაციონი

არეალის ფარგლებში ლეოპარდის რაციონი იცვლება იმის მიხედვით, თუ რომელი მსხვერპლი სახეობები და რომელი კონკურენტი მსხვილი მტაცებელია გავრცელებული მოცემულ რეგიონში. ზოგადად კი იგი უპირატესობას ანიჭებს საშუალო ზომის (10-40 კგ) ჩლიქოსნებს, მაგრამ ასევე ახასიათებს მეტად მრავალფეროვანი დიეტა და ჭამს მწერებს, ქვეწარმავლებს, ფრინველებსა და წვრილ თუ მსხვილ ძუძუმწოვრებს. ამასთანავე, ზოგჯერ კონკრეტული ინდივიდები სპეციალიზდებიან ერთ რომელიმე მსხვერპლზე და პრაქტიკულად მხოლოდ მასზე ნადირობენ. იქ, სადაც ასევე გვხვდებიან მასზე დიდი ზომის მტაცებლები (ლომი, ხალებიანი აფთარი), ლეოპარდი იძულებულია თავისი ნანადირევი საგულდაგულოდ გადამალოს გაუვალ მცენარეულობაში ან ხეზე აიტანოს. მაგრამ კონკურენციის არსებობის გარეშე ამის საჭიროება არ არის და მასაც შედარებით

დიდი ზომის მსხვერპლზეც შეუძლია ინადიროს. ბევრგან, ლეოპარდი ასევე თავს ესხმის შინაურ ცხოველებს და მის დიეტაში მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან წილს შეადგენს ძაღლი, თხა, საქონელი და ა.შ.

2.3 ინდივიდუალური ტერიტორია

ლეოპარდის ინდივიდუალური ტერიტორია, ანუ ტერიტორია, რომელზეც ერთი ინდივიდი ცხოვრობს (იკვებება და მრავლდება) და იცავს სხვა ინდივიდებისგან იცვლება საკვები ბაზისა და ჰაბიტატის სტრუქტურის მიხედვით. იქ, სადაც საკვები ბაზა მწირია (მაგ. უდაბნო), ერთი ლეოპარდის ინდივიდუალური ტერიტორია 2 000 კვ. კმ. შეიძლება იყოს, მაშინ, როცა მსხვერპლით მდიდარ ტროპიკულ წვიმის ტყეებში იგი 9 კმ² -იც შეიძლება იყოს. მთიან რელიეფის შემთხვევაში ლეოპარდის ინდივიდუალური ტერიტორია შეიძლება 300-დან 400-მდე კმ² მერყეობდეს. ძუს ინდივიდუალური ტერიტორია მწუშნელოვნად მცირეა, ვიდრე ხვადისა, რომელიც ხშირად რამდენიმე მდედრის ინდივიდუალურ ტერიტორიას ფარავს.

3 ლეოპარდი საქარველოში

3.1 სახეობის ქართული სახელწოდება

არსებობს გარკვეული გაუგებრობა და ტერმინების აღრევა სახეობა *Panthera pardus*-ის ქართულ სახელწოდებასთან დაკავშირებით. დღეისათვის ამ ბიოლოგიური სახეობის აღსანიშნად მსოფლიოს მრავალ ენაში დამკვიდრებულია ტერმინი „ლეოპარდი“, რომელიც ორი სიტყვის ნაერთს წარმოადგენს (ολέων *leōn* - ლომი და πάρδος *pardos* - ხვადი პანტერა) და გამოხატავს ძველ წარმოდგენას იმის შესახებ, რომ ეს ცხოველი ლომისა და პანტერას (შავი ლეოპარდი) ნაჯვარი იყო. ტერმინი „ლეოპარდი“ საქართველოშიც ფართოდაა გავრცელებული. თუმცა ამ სახეობას ქართულად ეწოდება „ჯიქი“, ხოლო მთაში, მაგალითად ხევში, ხევსურეთსა და თუშეთში მას ვეფხს ან ვეფხვს ეძახიან. ამჟამად როგორც ლიტერატურაში, ისე საზოგადოდ სახელწოდება „ვეფხვი“ გამოიყენება ბიოლოგიური სახეობის *Panthera tigris*-ის აღსანიშნად. მაგრამ წარსულში ეს სახელწოდება შესაძლოა კრებითი სიტყვა იყო და გამოიყენებოდა ყველა შედარებით დიდი ზომის კატისებრებისთვის, როგორცაა ფოცხვერი (*Lynx lynx*) და ჯიქი (*Panthera pardus*), ასევე ავაზა ანუ გეპარდი (*Acinonyx jubatus*)². დღეს, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, სახეობა *Panthera pardus* -ის აღსანიშნად უმჯობესია გამოვიყენოთ სინონიმები: „ჯიქი“ და

² ნიკო ჩუბინაშვილის ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში („ქართული ლექსიკონი რუსულის თარგამანითურთ, სისტემისაგერ საბა-სულხან ორბელიანისა“, 1812-1825 წწ) ჯიქი, ვეფხი, ავაზა და ფოცხვერი შემდეგნაირადაა განმარტებული:

„ჯიქი - (ოთხგ.) ბაბრი, ვეფხსა ჰგავს და უდიდესია, леопард

ვეფხი - (ოთხგ., დან. 7,6), рысь (ვეფხისტ. 859 და შემდგომი), тигр или барс

ავაზა - (ოთხგ.) მომცრო ვეფხი (დარეჯანიანში), барс. თ. ბაარს [სპ.].

ფოცხვერი - (ოთხგ.) рысь, островид.

„ლეოპარდი“ (თუმცა ამ სახეობის კულტურულ-ესთეტიკური მნიშვნელობისთვის, ასევე, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ როგორც „ვეფხისტყაოსანში“, ისე ლექსში „ამზავი ვეფხისა და მოყმისა“, სავარაუდოდ სწორედ ლეოპარდზეა საუბარი).

3.2 ტაქსონომია, ბიოლოგია და ეკოლოგია

კავკასიაში, და კერძოდ საქართველოში, ბევრი რამ უცნობია ლეოპარდის ბიოლოგიის, ქცევის, ცხოვრების ნირისა და ეკოლოგიის შესახებ.

ამჟამად მიჩნეულია, რომ კავკასიაში გავრცელებულია ქვესახეობა *Panthera pardus saxicolor* (Mithapala *et al.* 1996, Uphyrkina *et al.* 2001) და ამ რეგიონში მანამდე გამოყოფილი ყველა დანარჩენი ქვესახეობა (*P. p. tuliana*, *P. p. ciscaucasica*, *P. p. transcaucasica*, *P. p. dathei*, *P. p. sindica*) მის სინონიმებად უნდა ჩაითვალოს³. IUCN-ის წითელ ნუსხაშიც კავკასიაში გავრცელებული ქვესახეობა მოხსენიებულია როგორც *P. p. saxicolor*. თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ დამატებითი კვლევაა საჭირო ამ ქვესახეობის გეოგრაფიული გავრცელების დასადგენად და რეგიონის სამეცნიერო და კონსერვაციული წრეები უნდა შეთანხმდნენ საერთო და ყველასთვის მისაღებ ნომენკლატურაზე⁴.

კავკასიური ლეოპარდი, ზოგიერთ სხვა ქვესახეობასთან შედარებით, სავარაუდოდ უფრო დიდი ზომისაა, ხოლო შეფერილობით უფრო მკრთალია (მაგ., აფრიკულ და აზიურ ქვესახეობებთან შედარებით). ვაშლოვანში დაფიქსირებული მამრი ინდივიდის სავარაუდო ზომები იყო: სხეულის სიმაღლე ნიდაოში 70-75 სმ; წინა თათის სიგრძე 10 სმ., სიგანე - 10,5 სმ., ბალიშის სიგრძე - 6 სმ., სიგანე 7; უკანა თათის სიგანე წინაზე ოდნავ მცირეა - 9 სმ. (ლორთქიფანიძე და სხვ. 2004).

საქართველოში ლეოპარდის რაციონის შესახებ ინფორმაცია ძლიერ ზოგადია. ჯანაშვილისა (1963) და არაბულის (1987) მიხედვით ჯიქის საკვებს საქართველოში წარმოადგენს ირემი, შველი, ჯიხვი, არჩვი და გარეული ღორი. ვერეშაგინის (1958) მიხედვითაც კავკასიონზე ჯიქი ნადირობს გარეულ ღორზე, ჯიხვზე, ნიამოზე, არჩვზე და ირემზე. ბოლო დროს კავკასიის სხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევებიდან ჩანს, რომ ჯიქის რაციონი ძლიერ მრავალფეროვანია⁵. ზემოთ ჩამოთვლილ სახეობებს გარდა,

³ თუმცა, მაგალითად, ხოროზიანი (Khorozyan *et al.* 2006), თვლის, რომ *P. p. tuliana* წარმოადგენს დამოუკიდებელ ქვესახეობას, რომელიც თურქეთში გვხვდება, ხოლო კავკასიური ქვესახეობისთვის „*saxicolor*“-ის ნაცვლად უფრო მართებულია ტერმინი „*ciscaucasica*“, რადგან სწორედ ასე მოიხსენიებს მას დინიკი (Динник 1914).

⁴ ეკორეგიონის მასშტაბით ლეოპარდის პოპულაციების დღევანდელი სტატუსისა და კონსერვაციის შესახებ იხ. Breitenmoser, U *et al.* (Eds.) 2007.

⁵ ლეოპარდის ძირითადი მსხვერპლი სახეობა, როგორც ჩანს, განსხვავებულია რეგიონების მიხედვით, მაგ., სომხეთში, ხოსროვის ნაკრძალში იგი ძირითადად ნიამორით იკვებება, ხოლო სამხრეთ სომხეთში უმეტესად - გარეული ღორითა და შველით (Khorozyan *et al.* 2005). გუნტლების (პირადი ცნობა Mallon *et al.* 2007-ში) მიხედვით ირანში ლეოპარდის ძირითად საკვებს წარმოადგენს ნიამორი, ასევე გარეული ცხვარი და გარეული

ლეოპარდისთვის დამატებით საკვებად შეიძლება განვიხილოთ კურდღელი, მაჩვილარბა, მაჩვი და მიწაზე მოზუდარი ფრინველები, მაგ., როჭო, ხობობი, კაკაბი და სხვ. გარკვეული ადგილი ლეოპარდის რაციონში, ასევე, უკავია შინაურ ცხოველებს (ცნობილია, რომ ლეოპარდის მიერ შინაურ ცხოველებზე, მათ შორის ძაღლებზეც, თავდასხმის ფაქტები ზოგ ადგილებში მეტად ხშირია, განსაკუთრებით კი იქ, სადაც ველური ჩლიქოსნების სიმჭიდროვე მეტად დაბალია (Гептнер, Слудский 1972.). მაგრამ, მსხვერპლი სახეობების რიცხოვნების შემცირების მიუხედავად, უნდა მივიჩნიოთ, რომ კავკასიაში საკვები ბაზა საკმარისია ლეოპარდის მცირერიცხოვანი პოპულაციებისთვის (Mallon *et al.* 2007).

3.3 ისტორიული გავრცელება და რიცხოვნება

ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისისთვის ლეოპარდის არეალი მოიცავდა საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიას ჯავახეთის ზეგანისა და სამხრეთ აღმოსავლეთით მდებარე გაშლილი ჰაბიტატების გარდა (Динник 1914, Сатунин 1915). ლეოპარდის მაღალი სიმჭიდროვის კუთხით, დინიკი განსაკუთრებით აღნიშნავს ბზიფის ხეობას, მესხეთის ქედსა და შავი ზღვის სანაპირო მთიანეთს (Динник 1914). იგი ასევე აღწერს ბორჯომის სამონადირეო პარკში რამდენიმე ინდივიდის მოწამვლის ფაქტს, რაც ავტორის აზრით, იმაზე მიუთითებდა, რომ ამ ადგილებში ლეოპარდის მაღალი სიმჭიდროვე უნდა ყოფილიყო. დინიკი, ასევე, აღნიშნავს, რომ ეს მტაცებელი დიდი რაოდენობით იყო ალაზნის დაბლობზე და აღმოსავლეთ კავკასიონზე. დინიკი ლეოპარდის არეალის ნაწილად არ მიუთითებს თანამედროვე ვაშლოვანისა და ჭაჭუნას დაცულ ტერიტორიებს და ახლომდებარე არეულებს. თუმცა ამ ტერიტორიებზე (ისევე, როგორც ალაზნის, მტკვრისა და იორის შეერთების ადგილებში, რაც ახლა მინგეჩაურის წყალსაცავს უკავია), როგორც ჩანს, არსებობდა შესაფერისი ჰაბიტატები და მათი ალაზნის დაბლობთან სიახლოვის გათვალისწინებით, ლეოპარდი ამ ადგილებშიც უნდა ყოფილიყო გავრცელებული. მარკოვი ასევე აღწერს, რომ ლეოპარდი ხშირად გვხვდებოდა ლაგოდეხის ნაკრძალშიც (Марков 1938).

ინტენსიური ნადირობის, მიზანმიმართული დევნის და ურბანული თუ სხვა სახის განვითარების ფონზე არეალის ფრაგმენტაციის შედეგად საქართველოში ლეოპარდის რიცხოვნებამ კლება დაიწყო და წინა საუკუნის შუა ხანისთვის ეს მტაცებელი უკვე იშვიათობა იყო. ვერეშჩაგინის მონაცემებით XX საუკუნის 50-იანი წლებისათვის ჯიქის შეხვედრა და მისი მონადირების ფაქტები უკიდურესად შემცირდა (Верещагин 1959). ჯანაშვილის აზრით ამ დროისათვის ლეოპარდი უმნიშვნელო რაოდენობით შემორჩენილი იყო მხოლოდ აფხაზეთსა და ლაგოდეხის რაიონში (ჯანაშვილი 1954). შიდლოვსკის კი ლეოპარდის შესახებ ცნობები მხოლოდ აფხაზეთიდან ქონდა (Шидловский 1964). მოგვიანებით ჯანაშვილი აღნიშნავს, რომ შესაძლებელია, ლეოპარდი ცენტრალურ

ლორი. ლუკარევსკის (Lukarevsky *et.al.*, 2007) აზრით დიდი კავკასიონის არმოსავლეთ ნაწილში და მცირე კავკასიონზე ჯიქის ძირითადი მსხვერპლი სახეობებია ნიამორი, გარეული ღორი და შველი.

კავკასიონზეც ყოფილიყო შემორჩენილი (ჯანაშვილი 1963). XX საუკუნის შუიდან დღემდე ჯიქის მოპოვების სულ 8 ფაქტია ცნობილი (ცხრილი №1). გასული საუკუნის ბოლოს ჯიქის რიცხოვნება იმდენად შემცირდა, რომ იგი, ფაქტობრივად, გადაშენებულად იქნა მიჩნეული. არაბულის აზრით XX საუკუნის მიწურულს ჯიქი შემორჩენილი იყო ფშავ-ხევსურეთსა და თუშეთში, ხოლო მცირე კავკასიონზე - არსიანის ქედზე (არაბული 1987, Арабули 2006).

ცხრილი №1 ლეოპარდის მოპოვების ფაქტები მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან.


წელი	მოპოვების ადგილი
1949-52 (ზუსტი თარიღი დაუდგენელია)	საგურამოს ქედი, სოფელ წნელისთან
1950	ზნაურის რაიონში, სოფ. განთიადთან (მოკლულია ხვადი ინდივიდი)
1952	ცხინვალის რაიონი, სოფელი სტალინინი
1954	ზედაზენტან (საგურამოს ქედი)
1970	ფშავი, სოფ. მათურასთან (ნანახია ზევებში მოჰყოლილი ინდივიდი)
1979	არხოტი
1986	არხოტი (ორი ინდივიდი)



ზედაზენტან მოკლული ინდივიდი, 1954 წელი

3.4 თანამედროვე მდგომარეობა

პირველად ბოლო წლების განმავლობაში ლეოპარდის არსებობის დადასტურება მოხდა ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე; 2003 წ. ნანახი იქნა ლეოპარდის კვალი, ხოლო მომდევნო წელს სპეციალურად დამონტაჟებულმა ფოტო-ხაფანგმა ახალგაზრდა ხვადი ინდივიდის ფოტოსურათიც გადაიღო (ლორთქიფანიძე და სხვ. 2005)⁶. ეს ფაქტი 2021 წლის ოქტომბრამდე (როცა „ნაკრესის“ კონსერვაციული კვლევის ჯგუფმა ბეჟან ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით ახალი დამადასტურებელი მასალა მოიპოვა⁷) რჩებოდა საქართველოში ლეოპარდის არსებობის ერთადერთ ფოტოდოკუმენტირებულ დადასტურებად. თუმცა იმავე პერიოდშივე თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე ჩატარებული კვლევის დროს ნანახი იქნა კატისებრის მიერ დატოვებული ნათხარები და ექსკრემენტი, რომლებიც მაღალი ალბათობით ლეოპარდს ეკუთვნოდა⁸. მაშინ მსგავსი კვლევა ხევისურეთშიც



ლეოპარდის კვალი



კავკასიაში ლეოპარდის ერთერთი პირველი ფოტო. ვაშლოვანის დაც. ტერიტორიები. ნაკრესი, აპრილი, 2004

როგორც ხევისურეთში, ისე ქვეყნის სხვა რეგიონებშიც. თუმცა ნათელია, რომ ამჟამად

განხორციელდა, თუმცა ადგილობრივ მონადირეთა მონაყოლის გარდა, ლეოპარდის არსებობის დამადასტურებელი ნიშნები არ დაფიქსირებულა. მოსახლეობისგან მიღებული მეტ-ნაკლებად სარწმუნო ინფორმაციისა და ამ სახეობის ბუნებრივად დაბალი სიმჭიდროვისა და მეტად იდუმალი ცხოვრების ნირის გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ ლეოპარდი ჯერ კიდევ შემორჩენილია

⁶ კვლევა ჩაატარა სახეობათა კონსერვაციის ცენტრმა „ნაკრესმა“ საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის ფარგლებში. ხვადი ინდივიდი სახელად ნოე რამდენიმე წლის მანძილზე რჩებოდა ვაშლოვანსა და მის შემოგარენში და ნაკრესმა მისი ათულობით ფოტო გადაიღო, ეროვნული პარკის ერთ-ერთ რეინჯერთან ერთად ბეჟან ლორთქიფანიძემ იგი ცოცხლადც ნახა ღამის გასვლაზე. ნოე 2009 წელს გაუჩინარდა და მისი აღარც ფოტო და არც ახალი ნაკვალევი აღარ დაფიქსირებულა.

⁷ კვლევა ერთობლივად ჩაატარა WWF -ის კავკასიის ოფისმა და ნაკრესმა

⁸ კვლევა ერთობლივად ჩაატარა WWF -ის კავკასიის ოფისმა და ნაკრესმა და მასში მოწვეული კონსულტანტის რანგში მონაწილეობდა ვ. ლუკარევსკი.

ლეოპარდი, საქართველოში გავრცელებულ ძუძუმწოვართა შორის, ერთ-ერთი ყველაზე მცირერიცხოვანი სახეობაა.



თუშეთის დაცულ ტერიტორიაზე გადაღებული ფოტო, აგვისტო, 2021

3.5 პრობლემათა ანალიზი: საფრთხეები, ძირითადი წინააღმდეგობანი და ინფორმაციული “თეთრი ლაქები”

საქართველოში ლეოპარდის რიცხოვნების ინტენსიური შემცირება გასული საუკუნის 50-ანი წლებიდან იწყება. როგორც ჩანს, ამის მთავარი მიზეზები იყო: აქტიური დევნა და ნადირობა და ურბანული და ინფრასტრუქტურული განვითარების შედეგად არეალის შემცირება-დანაწევრება. საკვები ბაზის შემცირებამ, სავარაუდოდ, ნაკლები როლი ითამაშა, რადგან მსხვერპლი სახეობის მკვეთრი შემცირება მოგვიანებით, კერძოდ 90-იანი წლებიდან იწყება. ლეოპარდის მოკვლა კანონით აკრძალულია 1977 წლიდან. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არალეგალური ნადირობა პრაქტიკულად არ კონტროლდებოდა. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდში ლეოპარდის მოკვლის შემთხვევების შესამჩნევი მატება არ შეინიშნებოდა (თუ დავუშვებთ, რომ ლეოპარდის მოკვლის ფაქტის გახმაურების ალბათობა შედარებით მაღალია). როგორც ჩანს, ეს იმას უკავშირდება, რომ ლეოპარდი უკვე იმდენად იშვიათი იყო, რომ მისი შეხვედრის (მოკვლის) ალბათობა ძალზედ მცირე იყო. ამის მიუხედავად, ასეთი მცირერიცხოვანი პოპულაციისთვის ერთი ინდივიდის მოკვლაც კი გამოუსწორებელი შედეგის მომტანი შეიძლება იყოს. ამიტომ ბრაკონიერობა დღესაც რჩება ლეოპარდის პოპულაციისთვის პოტენციურად ყველაზე მნიშვნელოვან საფრთხედ. მეორე მხრივ, ექსპერტთა უმრავლესობა თანხმდება, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არის ლეოპარდის მცირერიცხოვანი პოპულაციისთვის საკმარისი შესაფერისი ჰაბიტატები. ამავე

დროს არალეგალურ და/ან უსისტემო ნადირობას ასევე მძიმე ზეგავლენა აქვს მსხვერპლ სახეობებზე, რაც არაპირდაპირ ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ლეოპარდზე.

ისევე, როგორც ყველა მსხვილი მტაცებლის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი პოტენციური საფრთხის წყაროა ლეოპარდსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის კონფლიქტი. ცნობილია, რომ ადამიანსა და მსხვილ მტაცებელს შორის კონფლიქტი, როგორც წესი, მტაცებლის აქტიური დევნის და განადგურების მცდელობით (ან რეალური განადგურებით) მთავრდება, თუკი სათანადო ზომები არ არის დროულად მიღებული.

ლეოპარდის კონსერვაციის ერთ-ერთი მთავარი ობიექტური სირთულე იმითაა განპირობებული, რომ ლეოპარდს ესაჭიროება საკმაოდ დიდი ფართობის შესაფერისი ტერიტორიები (ჰაბიტატები), რისი მიღწევაც ზოგადად რთულია, განსაკუთრებით კი მცირე ზომის ქვეყნებში. ამ სირთულის გადალახვა გრძელვადიან ძალისხმევას მოითხოვს და შესაძლებელია რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერებით და დაცული ტერიტორიების სისტემისა და მისი ეფექტური ქსელის განვითარებით (კორიდორებისა და ე.წ. სტეპინგ სტოუნების სქემის დანერგვით). მიუხედავად სეროზული სიმწიფისა, გასათვალისწინებელია, რომ ლეოპარდის კონსერვაციის საბოლოო ეფექტი ყოველგვარ ძალისხმევას (რესურსების დანახარჯს) გაამართლებს, რამდენადაც საქმე გვაქვს ე.წ. ქოლგა სახეობასთან, რომლის კონსერვაცია ავტომატურად გულისხმობს ბიომრავალფეროვნების მრავალი კომპონენტის და პრაქტიკულად მთელი ეკოსისტემის შენარჩუნებას.

ლეოპარდის, როგორც მსხვილი მტაცებლის, კონსერვაციის საქმეში აუცილებელია სოციალური და პოლიტიკური ასპექტების გათვალისწინებაც. ამ კუთხით წარმოშობილი პრობლემების მოგვარება სხვა ღონისძიებებთან ერთად, გულისხმობს ადამიანსა და ლეოპარდს შორის არსებული კონფლიქტის შერბილებას და აქტიური საგანმანათლებლო და ცნობიერების ასამაღლებელი ქმედებების გაშლას, რომლის დროსაც მთავარი აქცენტი ამ ცხოველის ესთეტიკურ-კულტურულ მნიშვნელობაზე უნდა გაკეთდეს.

პრებლემაა ძალზედ მწირი სამეცნიერო ინფორმაცია ამ სახეობის ბიოლოგიის, ქცევის და ეკოლოგიის შესახებ. ამ მხრივ პირველ რიგში ის საკითხები უნდა გაირკვეს, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახეობის დაცვისთვის. ამიტომ პირველი რიგის პრიორიტეტია სახეობის გავრცელების დადგენა და დადასტურებული ინდივიდების/პოპულაციების შემდგომი კვლევა და მონიტორინგი.

ლიტერატურის სია

- არაბული ალ. 1987. ჯიქი. „საქართველოს ბუნება“, №8: 19-20.
- ლორთქიფანიძე ბ., დარჩიაშვილი გ., კოპალიანი ნ., 2004. ლეოპარდი საქართველოში (ახალი აღმოჩენა). ზოოლოგიის ინსტიტუტის შრომები: 325-328.
- ჯანაშვილი არჩ. 1954. საქართველოში ამიერკავკასიის ჯიქის (*Pardus pardus tulianus Valenc*) გავრცელების საკითხები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები: 105-107
- ჯანაშვილი 1963. ხერხემლიანები. წიგნში: საქართველოს ცხოველთა სამყარო, ტ. III. საქართველოს სსრ მეცნ. აკად. გამომც., თბილისი: 155-156.
- Breitenmoser U, Breitenmoser Ch., Mallon, D. (Eds.). 2007. Status and conservation of the leopard in the Caucasus. Cat News Special Issue 2. WWF, IUCN/SSC Cat Specialist Group.
- Khorozyan I., Barishnikov G.F. and Abramov A.V 2006. Taxonomic Status of the leopard, *Panthera pardus* (Carnivora, Felidae) in the Caucasus and adjacent areas. Russian journal of Theriology 5: 41-52,
- Khorozyan I., Malkhazyan A. and Asmaryan S. 2005. The Persian leopard prowls its way to survival. Endangered species UPDATE 22: 51-60.
- Lukarevsky V., Malkhazyan Al., Askerov E., 2007. Biology and Ecology of the Leopard in the Caucasus. In: Breitenmoser U, Breitenmoser Ch., Mallon, D. (Eds.). 2007. Status and conservation of the leopard in the Caucasus. Cat News Special Issue 2. WWF, IUCN/SSC Cat Specialist Group: 9-14
- Mallon D., Weinberg P., Kopaliani N. 2007. Status of the Prey Species of the Leopard in the Caucasus. In: Breitenmoser U, Breitenmoser Ch., Mallon, D. (Eds.). 2007. Status and conservation of the leopard in the Caucasus. Cat News Special Issue 2. WWF, IUCN/SSC Cat Specialist Group: 22-27
- Miththapala, S., Seidensticker, J., O'Brien, S. J. 1996. Phylogeographic Subspecies Recognition in Leopards (*P. pardus*): Molecular Genetic Variation. Conservation Biology 10 (4): 1115–1132.
- Uphyrkina O., Jonson E. W.,* Quigley H., Miquelle D., Marker L., Bush M., O'brien J. S. 2001. Phylogenetics, genome diversity and origin of modern leopard, *Panthera pardus*. Molecular Ecology 10 (11): 2617–2633.
- Zazanashvili N., Mörschel F., Askerov E., Manvelyan K., Krever V., Farvar T. M., Kalem S. 2007. Conservation of the Leopard in the Caucasus. In: Breitenmoser U, Breitenmoser Ch., Mallon, D. (Eds.). 2007. Status and conservation of the leopard in the Caucasus. Cat News Special Issue 2. WWF, IUCN/SSC Cat Specialist Group: 4-8.
- Арабули А. Б. 2006. О распространении леопарда (*Panthera pardus ciscaucasica*) на Южном Кавказе, в пределах Грузии. Зоологический журнал т. 85, №7: 910-912.
- Верещагин Н. К. 1959. Систематический Обзор Животных Кавказкого Перешейка, Млекопитающие. В кн.: Животный Мир СССР. Изд, АН СССР, М.-Л., 202 с.
- Динник Н.Я., 1914. Звери Кавказа. Т.2. Тифлис.
- Марков Е. Л. 1934., ЗакГИЗ, Тифлис, 239 с.
- Сатунин К.А. Млекопитающие Кавказского края. Том I. 1915. Тип-ия Канцелярия Наместника Его Императ. Велич. на Кавказе, Тифлис, 412 с.
- Гептнер В.Г., Слудский А.А. 1972. Млекопитающие Советского Союза. Т. 2 (Ч. 2): Хищные (гиены и кошки). Высш. шк., М., 552 с.